ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №827167

ნომერი: AR1144325

თარიღი : 17.07.2013

გაცემის თარიღი : 07.08.2013

გაცნობის თარიღი : 22.08.2013

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა უნივერსიტეტის , ფიზიკის ინსტიტუტსა და საბურთალოს ახალ პანთეონს შორის,, ინდ. მენაშენთა ამხ. "ვაკე" (ნაკვეთი N5, N6, და N7);

დამკვეთი-განმცხადებელი

- ეკატერინე გელაშვილი პ/ნ 01002020997
- თბილისი გლდანი VIII მ/რ კორ. 23 ბ. 22

ორგანიზაცია:

- შპს`სკოლა XXI საუკუნე` კოდი: 204418825

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება

ვბრძანებ

17.07.2013წ. #არ1144325 განცხადებასთან დაკავშირებით დამატებით წარმოსადგენი დოკუმენტაციისა და ინფორმაციის განსაზღვრის შესახებ

ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურს 2013 წლის 17 ივლისის #არ1144325 განცხადებით მომართა მოქ. ეკატერინე გელაშვილმა და მოითხოვა სამსახურის 10.10.2011წ. #01/3039 ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტისა და გაცემული #ნ/3195–1 მშენებლობის სანებართვო მოწმობის ძალადაკარგულად გამოცხადება.
სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 10.10.2011წ. #01/3039 ბრძანებით ქ. თბილისში, სექტორი – ვაკე, უნივერსიტეტის ქუჩაზე, ფიზიკის ინსტიტუტსა და საბურთალოს ახალ პანთეონს შორის, იბა „ვაკე“ და შპს „სკოლა XXI საუკუნე“–ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ნაკვ. #042/123) შეთანხმდა არსებული შენობის რეკონსტრუქციის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა (სანებართვო მოწმობა #ნ/3195–1), რომლის მოქმედების ვადაც განისაზღვრა 2012 წლის 11 თებერვლამდე.
სამსახურში წარმოდგენილი განცხადებით არ ირკვევ ნაწარმოებია თუ არა ობიექტზე სამშენებლო სამუშაოები იმ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტის საფუძველზე, რომლის გაუქმებასაც ითხოვს განმცხადებელი და ამასთან, არ არის წარმოდგენილი განმცხადებლის ეკატერინე გელაშვილის წარმომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტი. ვინაიდან, სამშენებლო დოკუმენტაციაში დამკვეთად მითითებულია შპს „სკოლა XXI საუკუნე“, საჭიროა ადმინისტრაციული აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების მოთხოვნით სამსახურს მომართოს საზოგადოების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილმა პირმა ან მოხდეს მისი თანაგანმცხადებლად რეგისტრაცია. სამეწარმეო რეესტრის ამონაწერის თანახმად დღეის მდგომარეობით შპს „სკოლა XXI საუკუნე“–ს (საიდენტიფიკაციო კოდი:204418825) ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირია მარიამ ქუთათელაძე. ამასთან, ვინაიდან აღნიშნულ სამშენებლო ობიექტზე გაცემული მშენებლობის ნებართვა მისი მოქმედების ვადის გასვლის გამო წარმოადგენს უკვე ძალადაკარგულ აქტს, საჭიროა მოხდეს მოთხოვნის შინაარსის დაზუსტება და, თუ დამკვეთს სურს შეთანხმებული არქიტექტურული პროექტისა და დადგენილი სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების ძალადაკარგულად გამოცხადება, ძალადაკარგულად გამოსაცხადებელი დოკუემნტების რეკვიზიტებში მიეთითოს შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ–სამართლებრივი ატქბეის გამოცემის თარიღი და ნომერი.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის თანახმად, თუ განმცხადებელი ადმინისტრაციულ ორგანოს არ წარუდგენს კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით გათვალისწინებულ რაიმე დოკუმენტს ან სხვა ინფორმაციას, რაც აუცილებელია საქმის გადაწყვეტისათვის, ადმინისტრაციული ორგანო განმცხადებელს განუსაზღვრავს ვადას, რომლის განმავლობაშიც მან უნდა წარადგინოს დამატებითი დოკუმენტაცია ან ინფორმაცია.
იმისათვის, რომ მოქ. ეკატერინე გელაშვილის 17.07.2013წ. #არ1144325 განცხადებასთან დაკავშირებით მიღებული იქნას შესაბამისი გადაწყვეტილება საჭიროა ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის ვებ–გვერდზე განცახდების რეგისტრაციის დროს წარმოდგენილი იქნას სამშენებლო ობიექტზე არსებული მდგომარეობის ამსახველი ფოტომასალა; განმცხადებლის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი ან/და მოხდეს დამკვეთის თანაგანმცხადებლად რეგისტრაცია და დაზუსტებული იქნას მოთხოვნა ძალადაკარგულად გამოსაცხადებელ ადმინისტრაციულ აქტებთან დაკავშირებით.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ

1. დაევალოს განმცხადებელს 5 სამუშაო დღის ვადაში წარმოადგინოს:

- სამშენებლო ობიექტზე არსებული მდგომარეობის ამსახველი ფოტომასალა და განმცხადებლის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი ან/და მოხდეს დამკვეთის თანაგანმცხადებლად რეგისტრაცია.
- დააზუსტოს მოთხოვნა ძალადაკარგულად გამოსაცხადებელი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტების მითითებასთან დაკავშირებით;

2. ბრძანების პირველი პუნქტის შეუსრულებლობის შემთხვევაში 17.07.2013წ. #ar1144325 განცხადება დარჩეს განუხილველი;

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მის.: ჟ. შარტავას ქუჩა #7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში